შპს „ოპტიმუსი“

ქ.თბილისი, უზნაძის N 70 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.08.010.071) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე (მათ შორის 50,00 მეტრის რადიუსში მდებარე ძეგლებზე) შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენის კვლევის ანგარიში



თბილისი

2024 წ.

შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
“ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა”
samSeneblo eqspertiza, proeqtireba, mSenebloba

ქ.თბილისი 10 ოქტომბერი 2024 წ.

ქ.თბილისი, უზნაძის N 70 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.08.010.071) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობებზე (მათ შორის 50,00 მეტრის რადიუსში მდებარე ძეგლებზე) ზეგავლენის კვლევის ანგარიში

ობიექტის მისამართი - ქ.თბილისი, უზნაძის N 70 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.08.010.071);

ობიექტის სტატუსი/ფუნქციური დანიშნულება - საპროექტო/ მრავალბინიანი საცხოვრებელი ობიექტი;

ობიექტის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით - IV კლასი;

ექსპერტიზის სახე - საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა;

ექსპერტიზის დამნიშნავი - ფიზიკური/იურიდიული პირი – ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464 მისამართი: ბულაჩაურის ქუჩა;

შემსრულებელი ექსპერტი – გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251) შპს „ოპტიმუსი“-ს (ს/კ 404420998) დირექტორი, ინჟინერ-მშენებელი, კონსტრუქტორი. საინჟინრო ექსპერტიზის სფეროში მუშაობის გამოცდილება 14 წელი (2010 წლიდან), სამშენებლო სფეროში მუშაობის გამოცდილება - 39 წელი (1985 წლიდან).

ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები – ქ.თბილისი, უზნაძის N 70 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.08.010.071) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში, შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა 20,00 მეტრის რადიუსში (მათ შორის 50,00 მეტრის რადიუსში მდებარე ძეგლებზე) მდებარე შენობა-ნაგებობებზე და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

ექპერტიზაზე წარმოდგენილი ან/და ექსპერტის მიერ მოძიებული დოკუმენტაცია - 1) პროექტის არქიტექტურული ნაწილი, შენობის წინასაპროექტო კონსტრუქციული სქემები; 2) მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 3) მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა; 3) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემები;

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

გამოყენებული ნორმატიული აქტები და სხვა სახელმძღვანელო ლიტერატურა:

1) სნ და წ. პნ 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა"
2) სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები"
3) СНиП 2.02.01-83 Основания зданий и сооружений;

კვლევა – ჩემს მიერ, ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა აღნიშნულ მისამართზე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშოების ჩატარების მიზანშეწონილობას, ამასთან გადამოწმდა 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე (მათ შორის 50,00 მეტრის რადიუსში მდებარე ძეგლებზე) შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა სამშენებლო სამუშაოების მომდინარეობისა და საპროექტო შენობის შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში, მათზე რაიმე სახის შესაძლო უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საპროექტო ტერიტორია გამოირჩევა მოსწორებული რელიეფით, ხოლო საპროექტო ნაწილში ხელოვნურად მოსწორებულის ზედაპირის მქონე მონაკვეთით, საპროექტო მიწის ნაკვეთს უშუალო მომიჯნავე მიწის ნაკვეთები მასზე მდებარე შენობა-ნაგებობებით ორი - დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება. ხოლო დანარჩენი ორი მხირდან მისი მოსაზღვრეა საზოგადოებრივი სივრცეები.

მიწის ნაკვეთებზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების თანახმად ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიური პროცესები არ მიმდინარეობს. კვლევების ანგარიშის მიხედვით საკვლევ უბანზე გამოყოფილია შემდეგი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელზეც ფუძნდება შენობა:

სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი, რომელიც მიღებულია ფუძეებად:

1. სგე 1 - ქვიშაქვები და არგილითები (ფენა 2);

შენობა საძირკვლის მონოლითური რკ/ბეტონის წიბოვანი ფილით ფუძნდება ფენა 2-ზე რომელიც მიღებულია ფუძეებად და ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლებით - საანგარიშო წინაღობა R_0=5,0კგ.ძ/სმ^2, სიმკვრივე ρ=1,95გ/სმ3, დეფორმაციის მოდული E=500კგ.ძ/სმ2.

საპროექტო გადაწყვეტით შენობა რვასართულიანი, მათ შორის ორი მიწისქვეშა სართულის მქონეა. ის გეგმაში რთული, მართკუთხა ფორმების მოხაზულობისაა.

შენობის საძირკველი რკ/ბეტონისწერტილოვანი ტიპისაა, რომელიც დაფუძნდება სგე-1 -ზე შექმნილი ღორღის, შრეებრივად დატკეპნილ ფენილზე.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

კვლევამ აჩვენა, რომ პროექტირებისას დაცულია სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები" მუხლი 11 თ.6 $P \leq R$, (6) სადაც, P საშუალო წნევის მნიშვნელობაა, კპა. R – გრუნტის სიმტკიცე, ფუძის დეფორმაციაზე გაანგარიშების პირობები, რაც გულისხმობს, რომ საშუალო წნევა საძირკვლის ძირზე უნდა იყოს ნაკლები, ან ტოლი ფუძის სიმტკიცეზე. მოცემულ შემთხვევაში შენობის წონისგან გამოწვეული მაქსიმალური ძაბვა ფუძეში $Rz=1,2$ კგ.ძ/სმ^2, რაც ნაკლებია (დაახლოებით 4,166-ჯერ) ფუძის გრუნტის საანგარიშო წინაღობაზე - $Rc=5,0$კგ.ძ/სმ^2, ე.ი პირობა დაკმაყოფილებულია. <u>რაც ნიშნავს, რომ შენარჩუნებულია ფუძის მდგრადობა, ფაქტიურად წარმოქმნილია უკუმშვადი ფუძე. მისი დეფორმაციული მოვლენები მოსალოდნელი არ არის, რაც თავისთავად გამორიცხავს შენობიდან ნებისმიერი მანძილით დაშორებული - მიმდებარედ/მომიჯნავედ მდებარე ობიექტებზე, შენობიდან რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას, როგორც სამშენებლო პროცესში, ასევე მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.</u>
ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მოცემული უბანი ხასიათდება მჭიდრო ურბანული განაშენიანებით, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე განთავსებული შენობები აშენებულია გასული საუკუნის სხვადასხვა წლებში. უმეტესი ნაწილი არ შესაბემაბა დღეის მდგომარეობით ქვეყანაში მოქმედ სეისმურ მოთხოვნებს, გამომდინარე აქედან სამშენებლო სამუშაოების წარმოება მოცემულ ზონაში უნდა მოხდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების ზედმიწევნით დაცვით, საჭიროების შემთხვევაში შსაბამისი სპეციალისტების მონიტორინგის ქვეშ.

წარმოდგენილი საპროექტო შენობის კონსტრუქციული ნაწილში, ჩადებულია სამშენებლო ქვაბულის მოწყობისა და მისი ფერდოების გამაგრების პროექტი, რომლითაც ქვაბულის გარკვეულ სეგმენტებში ხორციელდება მონოლითური ე.წ. რკ/ბეტონის ხიმინჯოვანი ფარდების საშუალებით.

ჩემს მიერ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე საპროექტო შენობის 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე შენობა-ნაგებობების განხილვა მოხდა განცალკევებით. კერძოდ:

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.13.08.010.007 - მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ერთსართულიანი მზიდკედლებიანი საცხოვრებელი შენობა N1/1 და მისი დამხარე ხის კონსტრუქციებით ნაშენი სათავსო N3/1; აღნიშნულ შენობასა და საპროექტო შენობებს შორის უმოკლესი მანძილი 3,00-3,34 მეტრამდეა, ხოლო სამშენებლო ქვაბულის ძირი 7,00 მეტრამდე. ქვაბულის ამ ნაწილში, ქვაბულის ფერდოების ქანობების მოსაწყობად მანძილი ფაქტიურად არ რჩება, მიწის ნაკვეთზე მომზადებული საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაში მოცემული ჭაბურღილების ლოთოლოგიური ჭრილების შესაბამისად, ფერდოების (ფერდოების და არა ფუძის -გ.ჭ.) შემადგენელ გრუნტად მიღებულია თიხნარი, რომლის ნორმატიული ქანობი საჭიროებს დაახლოებით 60^0-65^0-იან დახრას, გამომდინარე აქედან ამ ნაწილში ქვაბულის ფერდოებითვის ეწყობა ქვაბულის ფერდოს შემაკავებელი და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შენობებზე ზეგავლენის დამხშობი კონსტრუქცია-ინექციური ხიმინჯოვანი ფარდა. რკ/ებტონის ხიმინჯები d=500მმ. ბიჯით ცენტრებში 1000მმ. (მიჯრით) ხიმინჯების თავები იკვრება რანდკოჭით განივკვეთით 500X400მმ. აღნიშნული ხიმინჯოვანი ფარდის მოწყობის შემდგომ შენარჩუნებული იქნება ქვაბულის ფერდოების მდგრადობა და ამასთან მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენა ნულამდე იქნება დაყვანილი, როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი, ექსპლუატაციის ხანგრძლივ პერიოდში, რაც გამორიცხავს რაიმე სახის ზემოქმედებას.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225;** email:g.chankvetadze@optimusi.ge

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.13.08.010.032 - მიწის ნაკვეთზე მდებარეობს ოთხსართულიანი მზიდკედლებიანი ტიპის სკოლის შენობა N1/4; სკოლის შენობა ახალი რეაბილიტირებულია და შესაბამისად მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. აღნიშნულ შენობასა და საპროექტო შენობებს შორის უმოკლესი მანძილი 25,00-28,00 მეტრამდეა, ქვაბულის ამ ნაწილში, ქვაბულის ფერდოების ქანობების მოსაწყობად არის საკმარისი მანძილები მიწის საკადასტრო საზღვრებამდე, გამომდინარე აქედან ქვაბულის ფეროდოებისთვის შესაბამისი დახრის მოწყობის შემთხვევაში, რაც შეადგენს 60^0-65^0-ს, ფარდოების მდგრადობა გარანტირებული იქნება, ხოლო შნობებზე ზემოქმედება გამორიცხული.

მიწის ნაკვეთები ს/კ 01.13.08.010.017, 01.13.08.010.011, 01.13.08.010.018 - ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობები ძირითადად დგებულაძის ქუჩის გასწვრივ განლაგებული საცხოვრებელი ერთი და ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლებია, ხოლო უფრო სამხრეთით, საპროექტო მოედნის სიახლოვეს მდებარეობენ, მათი დამხმარე ფუნქციის მქონე შენობა-ნაგებობები. უხლოესი მანძილი ქვაბულის კიდედან აღნიშნული ნაკვეთების საკადასტრო საზღვრამდე - 21,60-22,00 მეტრია, რაც გამორიცხავს შენობებზე, რაიმე სახის ზემოქმედებას.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.13.08.010.020 - მიწის ნაკვეთზე განთავსებული შნობა-ნაგებობებიდან საპროეტო მოედამნთან ყველაზე ახლოს შენობა N2/1 და N3/1; აღნიშნულ შენობასა და საპროექტო შენობებს შორის უმოკლესი მანძილი 3,00-3,34 მეტრამდეა, ქვაბულის ამ ნაწილში, ქვაბულის ფერდოების ქანობების მოსაწყობად მანძილი ფაქტიურად არ რჩება, მიწის ნაკვეთზე მომზადებული საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაში მოცემული ჭაბურღილების ლოთოლოგიური ჭრილების შესაბამისად, ფერდოების (ფერდოების და არა ფუძის -გ.ჭ.) შემადგენელ გრუნტად მიღებულია თიხნარი, რომლის ნორმატიული ქანობი საჭიროებს დაახლოებით 60^0-65^0-იან დახრას, გამომდინარე აქედან ამ ნაწილში, აღნიშნული ნაკვეთის გასწვრივ, ქვაბულის ფერდოებითვის პროექტში მოცემულია ქვაბულის ფერდოს შემაკავებელი და მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შენობებზე ზეგავლენის დამხშობი კონსტრუქცია-ინექციური ხიმინჯოვანი ფარდა. რკ/ბეტონის ხიმინჯები d=600მმ. ბიჯით ცენტრებში 1200მმ. (მიჯრით) ხომინჯების თავები იკვრება რანდკოჭით განივკვეთით 600X400მმ. აღნიშნული ხიმინჯოვანი ფარდის მოწყობის შემდგომ შენარჩუნებული იქნება ქვაბულის ფერდოების მდგრადობა და ამასთან მომიჯნავე შენობებზე ზეგავლენა ნულამდე იქნება დაყვანილი, როგორც მშენებლობის პროცესში ასევე შემდგომი, ექსპლუატაციის ხანგრძლივ პერიოდში, რაც გამორიცხავს რაიმე სახის ზემოქმედებას.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.13.08.010.123 - მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობა არ ფიქსირდება;

მიწის ნაკვეთები ს/კ 01.13.08.010.047, 01.13.08.010.028, 01.13.08.010.128, 01.13.08.010.127 და 01.13.08.010.125 - ნაკვეთებზე მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები და მოსახლეობის კუთვნილი მცირე გაბარიტული ზომების მქონე დამხმარე ნაგებობები. მინიმალური მანძილი სამშენებლო მოედნიდან 8,00-9,00 მეტრია. ქვაბულისთვის ნორმატივით გთვალისწინებული ქანობებით მოწყობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი

იქნება ნაკვეთებზე მდებარე შენობების ტექნიკური მდგრადობის შენარჩუნება. ანუ შეიძლება ითქვას, რომ შენობებზე რაიმე სახის ზემოქმდება, მიწის ნაკვეთზე შემდგარი პირობებიდან გამომდინარე გამორიცხული იქნება.

მიწის ნაკვეთები 01.13.08.010.120, 01.13.08.010.049, 01.13.08.010.023 - მასზე მდებარე შენობები საცხოვრებელი და დახმარე დანიშნულებისაა; ისინი საპროექტო მიწის ნაკვეთს დასავლეთიდან ესაზღვრებიან. საპროეტო შენობასთან ყველაზე ახლო მდგომი საცხოვრებელი სახლი ორსართულიანი მზიდკედლებიანი ნაგებობებია, რომელიც აშენებულია გასული საუკუნის შუა წლებში და ნაშენია მაშინდელი პერიოდისთვის დამახასიათებელი კონსტრუქციული გადაწყვეტით, ისინი მზიდკედლებიანი ნაგებობებია. მანძილი საპროექტო მოედანსა და არსებულ შენობას შორის 9,00-11,00 მეტრის ფარგლებში მერყეობს, რაც საკმარისია ქვაბულის ფერდოებისთვის შესაბამისი ქანობების მოწყობისთვის. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ შენობებზე ასეთი მანძილიდან, არც საპროექტო შენობისა და არც სამშენებლო პროცესისგან, რაიმე სახის ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

სხვა შენობება-ნაგებობები საპროექტო არელიდან 20,00-30,00 მეტრის მანძილით დაშორების გამო ჩემს მიერ არ განხილულა.

50,00 მეტრის რადიუსში მდებარე ძეგლის სატატუსის მქონე შენობებზე ზეგავლენა

კვლევის შედეგად დადგინდა, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებიდან - 50,00 მეტრის რადიუსში მდებარე ძეგლის სტატუსის მქონე შენობები საკადასტრო კოდებით:

მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.08.001.025 - ჩრდილოეთის მხრიდან 49,00-50,00 მეტრის რადიუსში, აღმოსავლეთის მხარეს

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.13.08.009.025 - აღმოსავლეთის მხარეს - 49,00-50,00 მეტრის რადიუსში;

მიწის ნაკვეთები ს/კ 01.13.08.009.002 ს/კ 01.13.08.009.009 ს/კ 01.13.08.009.049 ს/კ 01.13.08.009.006 - აღმოსავლეთის მხარეს -20,00-21,00 მეტრის რადიუსში;

საპროექტო ნაკვეთზე შემდგარი პირობებიდან გამომიდინარე, რაც გულისხმობს იმ გარემობას, რომ პროექტირებისას დაცულია სნ და წ. პნ 02.01.-08 "შენობებისა და ნაგებობების ფუძე-საძირკვლები" მუხლი 11 თ.6 -ის კერძოდ $P \leq R$ სადაც, P საშუალო წნევის მნიშვნელობაა, კპა. R – გრუნტის სიმტკიცე, ფუძის დეფორმაციაზე გაანგარიშების პირობები. ანუ, საშუალო წნევა საძირკვლის ძირზე უნდა იყოს ნაკლები, ან ტოლი ფუძის სიმტკიცეზე, რაც თავისთავად გამორიცხავს ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტებზე, შენობიდან რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებას, როგორც სამშენებლო პროცესში, ასევე მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში.

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: +995 595 902225; email:g.chankvetadze@optimusi.ge

დასკვნა - ქ.თბილისი, უზნაძის N70 (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.13.08.010.071) საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პერიოდში, შესაძლო ზეგავლენის ხარისხის შესწავლა 20,00 მეტრის რადიუსში მდებარე (მათ შორის 50,00 მეტრის რადიუსში მდებარე ძეგლებზე) შენობა-ნაგებობებზე, უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. მიწის ნაკვეთი მდგრადი გეომორფოლოგიური აგებულებისაა და ქვაბულის ფერდოები, პროექტით გათვალისწინებული სეგმენტებში ხიმინჯოვანი ფარდის მოწყობისა და ქვაბულის ფერდოებისთვის ნორმატიული ქანობების მოწყობის შემთხვევაში, რაიმე სახის სხვა სპეციალური ღონისძიებების გატარებას მშენებლობის პერიოდში არ საჭიროებენ. ხიმიჯნების ბურღვის სამუშაოები, მიწის ნაკვეთების 01.13.08.010.020 და 01.13.08.010.007-ის გასწვრივ, მიჯნის ზონაში ჩატარდეს დაბალი სიმძლავრის მქონე საბურღი მექანიზმების/ტექნიკის გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში მომიჯნავე შენობებზე ზიანი მაქსმალურად გამოირიცხება. სამუსაოები პერიოდში ქვაბულის ფერდოებზე დაწესდეს მონიტორინგი და მათი ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიღებულ იქნას პროექტის კონსტრუქტორტან შეთანხმებული ზომები.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საპროექტო შენობის სამონტაჟო სამუშაოების დაწყებას, ცალსახად დადებითი რეკომენდაცია ეძლევა.

შპს „ოპტიმუსი“-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გაიოზ ჭანკვეტაძე

საქართველო, ქ.თბილისი. რუსთაველის გამზ.№1 ტელ: +: +995 595 902225
GEORGIA, TBILISI. RUSTAVELI AVE.1 TEL: **+995 595 902225;** email:g.chankvetadze@optimusi.ge

საქართველოს რესპუბლიკა

დიპლომი № 010494



მიეცა გაიოზ გიორგის ძე
ჭანკვეტაძეს

მასზე, რომ ის 19 82 წელს შეიცდა საქართველოს
პოლიტექნიკური ინსტიტუტში

და 1994 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური
ინსტიტუტის სრული კურსი
საინჟინრო და საშოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის
16 ივნისის გადაწყვეტილებით
გ.გ. ჭანკვეტაძეს მიენიჭა ინჟინერ
მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე [signature]

რექტორი [signature]

მდივანი [signature]

ქალაქი თბილისი, 1994წ. 16 ივნ

სარეგისტრაციო № 1477

CURRICULUM VITAE

სახელი, გვარი:	**გაიოზ ჭანკვეტაძე (პ/ნ 01017024251);**
დაბედების ადგილი/თარიღი:	ქ.თბილისი 07.12.1968 წ.
მისამართი:	ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ.№1;
ოჯახური მდგომარეობა:	დაოჯახებული;
ტელ:	+995 595 90 22 25; +995 557 90 22 00;
E-mail	g.chankvetadze@gmail.com

განათლება

1974-1985 ქ.თბილისის 1-ლი საშ.სკოლა;
1986-1994 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ფაკულტეტი - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; კვალიფიკაცია-მშენებელი ინჟინერი;

1999-2003 უნივერსიტეტი -„ლეგია და კომპანია“ იურიდიული ფაკულტეტი. კვალიფიკაცია - იურისტი;

სამუშაო გამოცდილება:

1985-1987 №5-ე სახლმშენებელი კომბინატი 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1987-1989 ყოფილი საბჭოთა კავშირის არმია, საინჟინრო ჯარები;

1989-1991 სამშენებლო ტრესტი „ინჟმშენი“ 3-ე თანრიგის მუშა-მაბეტონე;

1991-1994 მრავალდარგოვანი საწარმო „პემ“-ი სამშენებლო უბნის უფროსი;

1995-1999 შპს „დარბაზნი“კონსტრუქტორთა ჯგუფის უფროსი;

1999-2002 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექცია. მთავარი სპეციალისტი;

2003-2005 ქ.თბილისის მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის მთაწმინდა-კრწანისის სამმართველოს უფროსი.

2005-2008 კერძო ბიზნესი - სამშენებლო-საპროექტო სფერო.

2006-2008 ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური - არქიტექტურული და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება. მთავარი სპეციალისტი;

2009 წლის იანვარი-მარტი - ქ.თბილისის, მერიის სამოქალაქო ინტეგრაციის (თბილისის კორპუსი) საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

2009 წლის მარტი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის, მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

2009 წლის მარტი - სექტემბერი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

2010 წლის მარტი - ქ.თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს სსიპ „თბილისი უძრავი ქონება“ - დირექტორი;

2009-2012 შენობა-ნაგებობების დიაგნოსტიკის ცენტრი შპს „კრუგი“-ს მენეჯერი - ექსპერტი შენობა-ნაგებობათა დიაგნოსტიკის განხრით;

2012წ დღემდე საპროექტო-სამშენებლო-საექსპერტო კომპანია შპს„ოპტიმუსი“-ს დამფუძნებელი, დირექტორი;
2010 წლიდან - დღემდე, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო დაკვეთებით შესწავლილი მაქვს 1000 ერთეულამდე ავარიული ან/და სარეკონსტრუქციო 1-ლი, მე-2 , მე-3 და მე-4 კლასის შენობა-ნაგებობა, რაზედაც გაცემულია შესაბამისი ტექნიკური, საექსპერტო დასკვნები და რეკომენდაციები. ამასთან თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კომპანია შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ დაპროექტებულია 2000-ზე მეტი 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 კლასის შენობების არქიტექტურული პროექტებისთვის მომზადებული კონსტრუქციული ნაწილები. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაცემულია მრავალი დასკვნა სადემონტაჟო, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვ. სამუშაოების მიმდებარე შენობებზე ზემოქმედებასა და მე-4 კლასის შენობებისთვის ფუძე-საძირკვლებისა და სხვა კონსტრუქციული სისტემის საექსპერტო შეფასების შესახებ.

თბილისში მომზადებულია რამოდენიმე ათეული მე-4 კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი და მრავალფუნქციური შენობების, კომპლექსების, სახელმწიფო უწყების შენობებისთვის პროექტის კონსტრუქციული ნაწილები.

2013 - 2022 წლებში საქართველოს 100-მდე ერთეულ სოფელსა და მინიციპალურ ცენტრებში (ქალაქებში) მომზადებულია და უკვე განხორციელებულია იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრების, მათ შორის ბორჯომის იუსტიციის სახლის - სამშენებლო სამუშაოებისთვის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, მათ შორის აღნიშნული შენობებისთვის კონსტრუქციული პროექტები;

Georgia IDENTITY CARD

მოქალაქის პირადობის მოწმობა

საქართველო

GEO



გარამის No / CARD No

24IC11003

სახელი / FIRST NAME

გაიოზი

GAIOZ

გვარი / LAST NAME

ჭანკვეტაძე

CHANKVETADZE

მოქ. / CIT | სქესი / SEX | პირადი No / PERSONAL No

GEO | მ / M | 01017024251

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH

07.12.1968

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY

02.09.2034

ხელმოწერა / SIGNATURE





დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

თბილისი

TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

02.09.2024

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

დამკვეთი: სსგს; დამამზადებელი: MB-IDS 2024

სემგს-ს რეგისტრაციის No 47-6101

IDGE024IC1100350101702425 1<<<<

6812078M3409028GE0<<<<<<<<<<<7

CHANKVETADZE<<GAIOZ<<<<<<<<<<<